ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ ბ-80680/07

"19" 04 2016 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სექტორი-კრწანისი, დასახლება ზემო ფონიჭალა, ღოღობერიძის ქუჩა №67, (ნაკვ. 34/005)/ქალაქი თბილისი, ქუჩა ღოღობერიძე, №67, ნაკვეთი 34/024-ში (საკ. კოდი №01.18.13.034.027) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (სამეურნეო, საწარმოო შენობა-ნაგებობა (საწყობი)) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №2425136 10.02.2016წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, სექტორი-კრწანისი, დასახლება ზემო ფონიჭალა, ღოღობერიძის ქუჩა №67, (ნაკვ. 34/005)/ქალაქი თბილისი, ქუჩა ღოღობერიძე, №67, ნაკვეთი 34/024-ში მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

გაზრდილია მარცვლეულის საცავ სილოსებს შორის მანძილი. დამატებით მოწყობილია ცოკოლი.

ფასადი №3: მარცვლეულის საცავ სილოსებზე გაუქმებულია კიბეები.

ფასადი №1: „4-6" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია საფეხურები და მსუბუქი კონსტრუქციის ნაგებობა.

-1.50 ნიშნულზე „1-1" ღერძთან გაზრდილია კიბის საფეხურების რაოდენობა და დამატებით მოწყობილია მსუბუქი კონსტრუქციის გადახურვა. „4-8" მონაკვეთში გაზრდილია მიწისქვეშა გვირაბის სიგრძე.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.კ. მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „კ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შპს „ნუტრიმაქსი"-ს, ქ. თბილისში, სექტორი-კრწანისი, დასახლება ზემო ფონიჭალა, ღოღობერიძის ქუჩა №67, (ნაკვ. 34/005)/ქალაქი თბილისი, ქუჩა ღოღობერიძე, №67, ნაკვეთი 34/024-ში (საკ. კოდი №01.18.13.034.027) მდებარე

მშენებლობადამთავრებული ობიექტის (სამეურნეო, საწარმოო შენობა-ნაგებობა (საწყობი)) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №80680/07 07.03.2016წ. განცხადება.

სამსახურის უფროსის მოადგილე **გიორგი გეჯაძე**